



მეცნიერება საქართველო





საქართველოს კულტურის დაცვისა და გადამზადების სახალხო მუზეუმი
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამოცემულობა „საბჭოთა სამართლებრ“
თბილისი — 1969

Ժողովական
Ծրուժ ցածրութիւն
Ցողովագրութիւն
Ժողովական
Ծրուժ ըստ 1969 թ.-ի
Ժողովական նույնագոր
1969 թ. ըստ 1969 թ.-ի
Ցողովագրութիւն

500,000

ԽԵՂԱՋԵՐԻ ՑԵՍՏԱԳԵՐԻ—
ЧЛЕНСКИЕ ВЗНОСЫ

1967

1969

1970

1974

1968
1973



სირია: გათმილიალური პულტურის აღნიშვნები
საბჭოო კომიტეტი

ქართველი გუმბათი


პრეზული გეორგიევი

ეროვნული მუზეუმის მიერ გამოცემა

ეს წიგნი დაუმუშავებს ქართველი გუმბათის მნიშვნელობას და მის განვითარების მიზანს. იგი მოიხსენიერს ქართველი მარტინის გუმბათის მინიატურას, რომელიც დაცულია ეროვნული მუზეუმის კოლექციაში. წიგნის მიზანია გუმბათის მნიშვნელობის გადაცემა და მის განვითარების მიზანი.

სამიზანი სახორცი მისამართი საჭაპოვარი

სარი დაწილო კოლექტი: ისაკლი აჩაშვილი, ზალვა აშირეაშვილი, ალექსა
ალაძიშვილი, გამრავი გერიშვი, ლევან გომიშვი, ლაშვი
გრიგორიშვილი, მოარ თავისამგვარი, თემირია
კაცელაძე, ისაკლი ზარაშვილი, ნიკო კოცხ-
ვილი, ლევან გერასიმი, მოარ სალიშვილი, ზაირა
სტრიჩი (პ/ჟ, მლიკი), გიორგი გირია, გიორგი
სიმინდეშვილი, გამრავი ცინცაძი, ლევან ჩიგაძე-



საქართველო წარწერა დატაღა

გურამ აბრამიშვილი
ხელისურის თმობრძობის კანდიდატი

ატენის სიონის საქართველოში თარიღის განსაზღვრა დიდი ხნის განმავლობაში

ატენის სიონის მხატვრობის თარიღის განსაზღვრა დიდი ხნის განმავლობაში ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკულტურო საკითხს. აღნიშვნული ძეგლისადმი დაინტერესება იმით იყო გამოწვეული, რომ ატენის სიონის მოხატულობა მნიშვნელოვან ადგილს იყავებს უეოდალური ხანის ქართველი მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში. ბუნებრივიც იყო ასეთ ხატაპონ ნაწარმოებს ჯეროვანი ყურადღება დასთმობოდა. გარდა ამისა, მოხატულობის თარიღის განსაზღვრას უნდა გაერკევია ვინაობა იმ გვირგვინოსან ქრისტორებისა, რომლებიც ტაძრის დასავლეთის აფსიდში არიან გამოსახულნი. ამ საკითხზე სამეცნიერო დიტერატურაში აზრთა სხვაობა იმით იყო გამოწვეული, რომ მკვლევარები ატენის სიონის მხატვრობას სხვადასხვა დროით ათარიღებდნენ. აკად. შ. ამირანაშვილი მოხატვის თარიღად 904—906 წლებს მიიჩნევს (III. ქ. ამირანაშვილი, ისტორია ერთიანი სამეცნიერო კამპუნი, 1, 1950, გვ. 185). რ. შემერლინგის მოსაზრებით, მოხატულობა 1072 წ. შემდეგ ხანას განკუთვნება (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, № 4, 1947, გვ. 267).



1955-56 წლებში ატენის სიონის კედლის მხატვრობის გაწმენდისა და უძრავმიერებული ჩატარების დროს მხატვარმა რესტაურატორმა შ. აბრამიშვილმა გამოავლინდა მუცონბი ისტორიული ხასიათის რამდენიმე ფრესკული წარწერა. აქედან ერთი მათგანი, რაც მხატვრობის შესრულებას შეეხება, დასავლეთის აფსიდის სამხრეთის ფრთაზეა მოთავსებული.

1956-57 წლებში აღნიშნული წარწერა ორჯერ გამოაქვეყნა თ. ბარნაველია (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XVII, № 3, 1956, გვ. 281—286; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ. 1957). ავტორის წაკითხვით, ატენის სიონის მოხატვა შეუსრულებიათ გიორგი II ნოველისიმოსის მეფობის მერვე წელს. მკვლევარის აზრით, მერვე სტრონიქონის ქორონიკონის შეიცავს, რაც 1080 წ. უდრის. ეს თა-



საქონის წარწერა ულტრაიისური სიივების ჟელზე

რილი გაიზიარეს სამეცნიერო წრეებში (თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, ქართ. ხელ. ისტ. ინსტიტუტის XIII სამეცნ. სესია, თბ; 1958, გვ. 8—9), თუმცა იგი ეჭვის ძველ მაინც დგებოდა (III. Я. Амиранашвили, Ист. груз. монументальной живоп. I. Тб; 1957, გვ. 98).

1961 წელს ატენის სიონის მოხატ. დამათარილებული წარწერის გაცნობის დროს შევამჩნიოთ ერთგვარი შეუსაბამობა, რაც მხატვრობისა და წარწერის სინქრონულობას გამორიცხავდა. ჩვენი დაკვირვება, რაც 1963 წ. გამოვაწვეულოთ (იბ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XXX, № 5, 1963, გვ. 685—690), შემდეგ შენიშ-



ვნებს შეიცავდა: საქტიკორო წარწერა მოხატულობაზე შედარების მოგვიანობის ხანას ეკუთვნის და ამდენად არ შეიძლება იყოს მხატვრობის დარღვევის მიღებული. ამის საბუთად მოგვაცდა დასავლეთის აუსიდის სამხრეთის ფრთაზე მიკვლეული ფრაგმენტები ერთ-ერთი წინასწარმეტყველის ძალზე დაზიანებული გამოსახულებისა, რაც გვიან ხანაში შეულესავთ და მასზე ზემოაღნიშნული საქტიკორო წარწერა მოუთავებითა (1966 წ. ინტრაწითელმა დასხივებამ გამოავლინა ამ წწ-მეტყველის სახელის ფრაგმენტი... მ ი ა" [იერე]მია?). აღნიშნული წარწერის სამი სტრიქონი და სტრიქონის ბოლო ნაწილი მოხატულობის თავდაპირველ ბათქაშზე იწყება, ხოლო მომდევნო სტრიქონები და მათ შორის მეოთხე სტრიქონის დასაწყისი იმ შელესილობაზე გრძელდება, რასაც ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველის გამოსახულება დაუფარავს. ამგვარად, მეხუთე, მეექვეს და მერვე სტრიქონები, სადაც თ. ბარნაველი „მეფე გიორგისა ნოველისმოსისა" და „ქრისტინეს" კითხულობს, სწორედ გვიანი ხანის შელესილობაზე არის შესრულებული (ნახაზზე დატანილი გვაქვს გვიანი ხანის ბათქაში კონტური). გარდა ამისა, ეჭვი გამოვთქვით მერვე სტრიქონის წაკითხვის სისწორეში. კერძოდ, იქ სადაც თ. ბარნაველი ქორონიკონის აღმნიშვნელ რიცხვით ნიშნად „ტ"-ს კათხულობს (300), ამ ასოს წინ გავარჩიეთ „დ"-ს მერთალი მოხაზულობა. „ტ"-ს წინ „დ"-ს მოთავსება ამ სტრიქონზე ქორონიკონის წაკითხვის შესაძლებლობას გამორიცხავდა, რადგან ასოთა ასეთი თანმიმდევრობა (დტ) მათი რიცხვითი მნიშვნელობის ფუნქციათა მატარებლად ევრ ჩაითვლებოდა (პირველი ასო „დ" ოთხს, ხოლო მეორე „ტ"-სამას სუდრის, დტ=4 და 300?). თუ თ. ბარნაველის წაკითხვას დაცემულობით მკვლევარი ამ სტრიქონზე კითხულობს „ქრისტინესა ტ-სა", მაგრამ არც ეს ჩანს მართებულად, რადგან სიტყვა „ქრისტინი" „დ" ასოს არ შეიცავს. ამრიგად, აღნიშნული წარწერის წაკითხვა დაზუსტებას მოითხოვდა.

1966 წელს ხელოვნების მუზეუმშია ატენის სიონში სპეციალური ექსპედიცია მიაღლინა, რომელიც ულტრაიისფერი და ინფრაწითელი გასხივების აპარატურით იყო აღკვრილი. მხატვრობის დამათარიდებული საქტიკორო წარწერის ულტრაიისფერი სხივების შეუზე გადაღებამ, რაც მუზეუმის ფოტოგრაფია იგორ გილგენდორფმა აწარმოეა, გამოავლინა მისი თითქმის გამერალი სტრიქონების უმეტესი ნაწილი. ამან საშუალება მოგვცა ტექსტი მთლიანად დაგვედგინა. მოგვაცდა ი. გილგენდორფის მიერ შესრულებული სამუშაოს ტექსტიური მონაცემები: „ატენის სიონის ფრესკული წარწერების ულტრაიისფერი და ინფრა-წითელი სხივებით ფოტოიდესირება ხელოვნების მუზეუმის სპეციალური ლაპორატორიის პირველ საველე ექსპერიმენტს წარმოადგენდა. გადაღება მიმდინარეობდა ღამით, სრულ სიბნელეში. შედარებით ეფექტურ საშუალებათა გამონახვისათვის დაგვჭირდა პრაქტიკულად განვეხორციელებინა ლაპორატორიული ცდების დროს გამოყენებული ყველა ძირითადი ოპტიკურ-ტექნიკური საშუალებანი, საქტიკორო წარწერის გადაღება წარმოადგენდა არა მხოლოდ მეცნიერულ ინტერესს, არამედ ტექნიკურსაც, რადგან წარწერის გამაგრების მიზნით კედლის ეს მონაცევითი წებოვანი ხსნარით იყო დაფარული. ეს საკმაოდ ართულებდა საქმეს,



რადგან შესაძლო იყო წებოვან გარსს სხივებზე უარყოფითად ემოქმედულავაზე და ნაცვალევი არ გამოვლინებინა. სხვადასხვა ხერხით განათების ღრის შედეგი მოგვცა მხოლოდ ულტრაიისცერი სხივების არეკვლამ (365 მიკრონი). რაც შეეხება მი დაზიანებული წინასწარმეტყველის ვინაობის მაუწყებელ წარწერას, რაც კიშუალურად სრულიად უზილავია, გამოვლინდა ინფრაწითელი სხივების არეკვლით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ორი წარწერა შესრულებულია სხვა-დასხვა შემძღვენლობის საღებავით" (ი. გილგენდორფი).

იმის გამო, რომ თ. ბარნაველისა და ჩვენს წაკითხვაში საქმიო სხვაობაა, საჭიროდ ცვანით ახალი ფოტომასალის გარდა პატივცემული შეცვლევარის მიერ გამოცემულ წარწერის მონახაზე და წაკითხვა აქვა, ჩვენის პარალელურად მოგვეყვანა. პირველ თა სტრიქონს და მესამე სტრიქონის დასაწყისს ისევე ვეითხულობთ, როგორც თ. ბარნაველს აქვს განმარტებული. მესამე სტრიქონის ბოლოს აღვაღენ სიტყვას „მჟარველ“-ს, რადგან აქ გაირჩევა „რვე“ ასოები. მეოთხე სტრიქონზე იყითხება „და მს ექმინ შესა“ „და მ(ეო) ხ[ე]ქმინ შე(ნი) სა“ („თ. ბარნაველი ამ სტრიქონზე კითხულობს“, „ადიდე მეფონბა ღმრთივ დამყა(რე) ბულისა“). მეხუთე სტრიქონზე იყითხება: „ლოცვათა სვან[ი]თ მყსა“ ლოცვ(ი) თა სვ(ი) ან(ი) თ მყ(ლული) სა. სხვაობა მოგვცა მეცვეს სტრიქონმაც. თ. ბარნაველი ამ სტრიქონზე კითხულობს: „გიორგისა ნოწევლისიმოსისა“, რომელსაც მეცვე გიორგი მეორესთან აიგივებს. ულტრაიისცერმა სხივებმა კი გამოავლინა სახელი გრიგორი. არც მომდევნო სიტყვის „ნოველისიმოსისა“ წაკითხვა აღმოჩნდა სწორი, აქ მეაფიოდ გამოიჩნდა შემდგენ ასოები „ლ პ ტ“ და შემდევ „თორლს“ რომელიც ერთმანეთისაგან ერთი ასოს მანძილზე არიან დაშორებული. პირველი სამის ასოს „ლ პ ტ“-ს გაბარა უფიქრობთ, მხოლოდ ლიპარიტად შეიძლება „თორლს“ კი ვეითხულობთ „თორლიას.“ ამგვარად, მეცვეს სტრიქონი ასეთ სახეს იღებს: „გ[რი]გ[ო]ლსა ლ[ი]პ[არი]ტ თორ[ე]ლ[ი]ს [ძე]სა“. ეს უკანასკნელი სიტყვა „ძესა“ საგარაულოა, თუმცი კონტექსტით ასეთი აღდგენა შესატერისად მოჩანს. მერვე სტრიქონის ერთ ნაწილს, სადაც იყითხება: „რ[ომელ]ის მ(ე)რ მოიხატა“, თ. ბარნაველი სწორად კითხულობს, მომდევნო ნაწილს კი მეცვლევარი ასე აღაღვენს — წმიდას [საყდარი ესე]. ეს აღდგენა არასწორი აღმოჩნდა. ულტრაიისცერმა სხივებმა აქ გამოავლინა სიტყვა „კედელი“. ამგვარად ეს სტრიქონი ასე უნდა წაკითხოთ: „რ[ომელ]ისა მ[ი]გერ მოიხ[ა]ტა კედელი“.


მერვე სტრიქონის ულტრაიისცერი სხივებით განათებამ და ფოტოფიქსირებამ ცხადყო თ. ბარნაველის წაკითხვის მცდარობა. მეცვლევარი მერვე სტრიქონს კითხულობს, ხოლო მეცხრე სტრიქონს შემდეგი სახით აღაღვენს: მ. [ქ]რისინიკონ-სა ტ-სა წელ[სა მეცობისა] 9.[მათისასა]“. ფაქტიურად, აქ სულ სხვა შინაარსის წარწერა გამოვლინდა, სადაც იყითხება „ესე დასავლიაბა ჲ“ ასო „დ“, რაც 1961 წ. შევნიშნეთ და რის საფუძველზეც გამოვთქვეთ ეცვი მერვე სტრიქონზე ქორონიკონის არსებობაზე, სიტყვა „დასავლეთისაბა“-ს პირველი ასო აღმოჩნდა. მეორე ასო, რასაც თ. ბარნაველი „ტ“ (300)-დ კითხულობდა, უაქტიურად არის ასო „ა“ მერვე სტრიქონის დასასრულს ტექსტის დამთავრების ნიშანი ზის, რაც უფლებას გვაძლევს წარწერა რვასტრიქონიანად ჩავთვალოთ (და არა ცხრასტრიქონიანად).



ამგენარად, თ. ბარნაველისა და ჩვენს წაკითხვაში შემდეგი პრინციპები მოჩინდა:

თ. ბარნაველის წაკითხვით:

ჩვენი წაკითხვით:



ე 1 ჩირაო

ე 2 ტა

კუს ჭყაბაზრის
"ქადაგი" და რ

01 ს ჭყაბაზრის
+ ტა ქადაგი

გრძელ და რ

რა მა არა წარ
02 ა და ა მა ა მა

1 ტ ქ 1 9

1 1 1 1 ა მ 0 0 0 0 1

რიც არ

არ ა წა პ ა რ ე ლ გ ა დ

პარ მა პ ა რ ე ლ რ ა

ლ გ ა რ ა ს ა ლ ე ლ ი ა

ა რ ა ს ა ლ ე ლ ი ა

ლ გ ა რ ა ს ა ლ ე ლ ი ა

ა რ ა ს ა ლ ე ლ ი ა

1. [ქ. ყოვლა] დ წ(მიღ)აო დედ[ოფალო]

2. [ღმრ]თის მშობელო, მარადის [ქალ]

3. წულო მარიამ

4. ადიღე მეფეობა ღმრთივ დამცა[რე]

5. ბულისა მეფეთ[ა] მეფ[ისა]

1. [ქ. ყოვლა] დ წ(მიღ)აო დედ[ოფალო]

2. [ღმრ]თის მშობელო, მ[არა]დის

3. ქ[ალ]წ[ულ]ო მ[ა]რ[ი]გ[ა]მ [მფე]რვე[ლ]

4. და მ[ეო]ს ლექშენ შე[ნი]ა

5. ღოცვი(ი)თა სე(ი)არი(ი)თა
მყ[ოფელი]ა

6. გიორგისა ნო[ვე]ლ[ისიმოსისა],

6. გრ[ი]გ[ო]ლსა ღ[ი]პ[არი]ტ თორ[ე]
ლ[ი]ს [ძესა].

7. რომელისა მიერ მოიხატა წმიდათ
[საყდარი] [ესე]

7. რ[ომლ]ისა მ[იე]რ მოიხ[ა]ტა

კედელი

8. [ქ.]რონიკონისა ტ-სა წელ[სა მეფო-
ბისა]

8. ესე დასავლისადა:

9. [მათისასა]



ატენის სიონის საქტიტორო წარწერა გვაუწყებს, რომ გრიგოლ ჭავაძე მოსახულის ძის ქრიტორობით დასაცლეთის კედელი მოუხატულ. შაროლაშვილი წერა დასაცლეთის აფისიდშია მოთავსებული. როგორც ირკვევა, წარწერა ამ კედლის მოხატულობის გარკვეული ნაწილის გაცხოველება-შეკეთებაზე გვაუწყებს და არა ტაძრის თავდაპირველ მოხატვაზე.

რა დროისა უნდა იყოს ატენის საქტიტორო ფრესკული წარწერა? თ. ბარ-ნაველის მოსაზრებას, რომ ივი „შესრულებულია იმავე ხასიათის დამწერლობით, როგორითაც მოხატულობის დანარჩენი წარწერები (თ. ბარნაველი, დასახ. ლიტ. გვ. 282), ვერ გავიზიარებთ. ატენის სიონის მხატვრობის წარწერები დახვეწილი ჩამონაკვეთული პალეოგრაფიით ხასიათდება. რაც კალიგრაფ მხატვრის გაწაულ ხელშე მიგვითოებს. ატენის მხატვრობის წარწერათა საერთო ხასიათი, მათი განთავსება ამა თუ იმ კომიზიტიციაში მხატვრულ-დეკორატულ ფუნქციათა მატარებელია. ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის დამწერლობასთან გვაქვს საქმე ატენის სიონის საკტიტორო წარწერაში. მათი სტრიქონები ცურადა დამხრობილი, რაც სრულიად არ შეეფერება ატენის მხატვრობის წარწერათა მექანი პორიზონტალობას. ამავე დროს, საქტიტორო წარწერის სტრიქონები არათანაბარი ზომისანი არიან და ერთგვარად დაუდევრად შესრულებულის იერს ატარებს. ეს არის ორი, სრულიად სხვადასხვა ხასიათის წარწერა, რომელთა შორის შეინიშნება პალეოგრაფიული სხვაობაც. აშის საილუსტრაციოდ თუნდაც რამოდენიმე ასოს მოყვანა შეგვეძლო, რაც ცხადყოფს მათ ანაკრონიზმს.

ატენის მოხატულობის „ა“ ხასიათდება ულლის მსხვილი წერტილებით უაბოლოებული კიდეულებით. „ანის“ რკალურად მოხაზული სხეული ჯერ თან-ბარა სიმსხოთი მიემართება ასოს უღლის მიმართულებით, შემდეგ მისი ზედა ნაწილი შევერთად წვრილდება, ასოს უღლეს უერთდება და ამ აღვილშე ერთგვარ შეერილს წარმოქმნის. ატენის საქტიტორო წარწერაში კი „ანი“ სულ სხვაგვარი ხასიათისა. მისი ქვედა ნაწილი ქვევითაა ჩამოზიდული, ხოლო უღლი ასოს ტანს არ უერთდება. ასევე სხვაობაა „გ“ ასოს დამწერლობაშიც. ატენის წარწერებში ეს ასო საკმაოდ დაბლა ჩამოზიდული ცხვირით და ორსაფეხურიანი ტებილი კულით იწერება, რაც მსხვილი წერტილით ბოლოედება. საქტიტორო წარწერაში კი „გ“ საგრძნობლად პატარა ცხვირითა და მხოლოდ მარჯვნივ წარზიდული მოკლე ხაზით — კედით გამოისახება. ჩვენ ასეთი შედარებები საკმაოდ შორს წაგვიყვნდა, რადგან საქტიტორო წარწერის ყოველი ასო სხვაობას ამზღვნებს ატენის მხატვრობის წარწერებთან, მაგრამ ასო „დ“-ზე მაინც გვინდა ყურადღება შეგანეროთ. ატენის სიონის მხატვრობის წარწერებში „დ“ მეტწილად წრიული ტანით იწერება, რაზეც ყელია აღმართული და მასშე მსხვილი წერტილებიანი კოდერებით შემცული უღლელია დამყარებული. რიგ შემთხვევაში ასოს წრიული ტანი მის ზედა ნაწილშე ოდნავ ვიწროვდება, რაც შედარებით მოგვიანო ხანის XII—XIV საუკუნეთა ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი.

ატენის საქტიტორო წარწერაში „დ“-ს შესამჩნევად წაგრძელებული ფორმა აქვს მიღებული. რიგ შემთხვევაში კი ეს ასო, განსაკუთრებით მეორე და მერვე სტრიქონებზე, მსხლისებურ ფორმას იღებს. ერთ შემთხვევაში ასოს ყელი ორადაა გაყოფილი. ასევე განმხოლოებულია მათი უღლელიც. მსგავსი მოხაზულობის „დონი“ გვხვდება ბეთანიის კედლის მხატვრობაშიც, კერძოდ. სუმბატ დილის ვინაობის



აღმნიშვნელ წარწერაში (1207—1213 წწ.). ატენის საქტიოტორო წარწერის დეთანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ „დონის“ ტანის კონფიგურაცია უფრო მეტად მსხლისებური ფორმისაა, ყელით და უღელით კი მასთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ასო „დ“-ს ასევე წერს აბულასანის მიერ შეწირული შედერი ხატის ოსტატი (XIII ს). აქ სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ამ უკანასკნელის უღელის კიდურები ზევითაა აგრეხილი. მისი, როგორც უღელი, ასევე ყელი როადაა გაფოუილი. ატენის სიონის საქტიოტორო წარწერაში ამ ასოს უღელი ოდნავ დაბლა იხრება და წერტილით ბოლოვდება, რითაც ბეთანიის „დ“-სთან მეტ მსგავსებას ამჟღავნებს. ამ ასოს ზედა ნაწილის მსგავს მოხაზულობას ვხვდებით წყაროსთავისა და ბერითის სახაჩების ყდებზე. XIII—XIV სს ზემოდასახელებული მოხაზულობის „დონი“ უფრო ხშირად გვხვდება. ასეთების უბისის უერწერული კარედი ხატი (XIV ს), ანისხატის კარედის შიდა მოჭედილობა (XIV ს) და სხვა, რომელთა, ჩამოთვლა შორს წავვიყანდა. ამგვარად, ორმაგველიანი და განმხოლებელი უღლანი „დონი“, ძირითადად, XII—XIV სს და შემზევები ხანის წარწერებში გვხვდება. ჩვენს წარწერაში ასეთი, მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა უფლებას გვაძლევს მისი თარიღი უფრო გვიანი ხანით განვსაზღვროთ, ვიდრე ის იყო მინიჭული. კერძოდ, XII—XIV სს.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის მოქალაქეობრივი უფლება მოიძოვა ატენის სიონის მოხაზულობის შესრულების თარიღმა — 1080 წელმა. მაგრამ არ შეიძლება ანგარიშით არ გაუწიოთ ძნელბედობის ხანას, რაც საქართველოს სწორედ 1080 წელს დაატყდა თავს. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიით გვაუწიებს, ამ ხანაში თურქები „მოფუინეს პირსა ყოვლისა ქუვანისასა, ვითარცა მყალნი, და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქი და ჭყონდილი აღისო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი... მოჭამეს ქუვანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩიომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუვანისათა. და ესე იყო პირველი და დაზიან თურქიბა; რამეთე ქრონიკინი იყო სამიათი“. (ეპითლის ცხოვრება, I, 1555, გვ. 319). ეს კი სწორედ 1080 წელს უზრის. ასეთ რთულ ვითარებაში ძნელად დასაჯერებელია, რომ ატენის სიონის მოხატვის დრო და საშუალება პერიოდათ. ეს რომ ასე არ ყოფილა საკუშებით დაადასტურა საქტიოტორო წარწერის ულტრაიისტური სხივებით გაშეუქმნამ, რამაც ცხადყო რომ აქ მოხსენიებულია არა მეუე გოროგი II, არამედ ვინმე გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, რომლის მეოხებითაც დასავლეთის კედლის მხატვრობა გაუცხოველებიათ. თუ ვინ იყო გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, ან რა უფლებებით სარგებლობდა ამ ხეობაში, ჩვენთვის უცნობია. წარწერის პალეოგრაფიული მხარე XIII—XIV სს უნდა მიგვითოვებდეს. ამდენად, გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძეც ამ ხანის ფეოდალთა შორის არის საგულებელი.

ლიპარიტ თორელი იხსენიება XIV საუკუნეში შექმნილ საისტორიო ობიექტებაში „ქამთაღმწერელში“. აქ, სადაც უღელ დავითის ქართლიდან გაძცევა და დასავლეთ საქართველოში გადასვლაა აღწერილი, „ქამთაღმწერელი“ შემდეგს მოგვითხრობს: „... და მოაწია თორს, ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დავის-ყურცა ეწიდებოდა, და მან უძღვნა ცხენი და შესამისელი, და წარსუა ქუთათისს, ხოლო ეითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრეს სიხარულითა დიდითა, და მეუე ჭვეს დავით რუ-



სუდანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე” (ქ. ც. II, 1959, გვ. 229) ამაცემა-მქანეობა
ორებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიაში (ვახუშტი, საქ. ისტ. 1885,
გვ. 238—239).

აყად. ღვ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ეს ფაქტი 1259 წელს მომხდარა
(ქ. ერის ისტ. ტ. III, 1949, გვ. 154—157). სამწუხაროდ, არავითარი ცნობაა არ გა-
გვაჩინია ლიპარიტის შეილის ვინაობის შესახებ. ეს კი ჩვენთვის საინტერესო იქნ.
რაღაც ატენის საქტიტორო წარწერაში გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე მოიხსე-
ნიება. თუმცა წარწერის პალეოგრაფია ამ ხანაზე XIII—XIV სს მიგვითოთებს, მაგ-
რამ დღესდღეობით არ შეგვიძლიან კატეგორიულად ვასაბუთო „ემთააღმწერ-
ლისა“ და ატენის საქტიტორო წარწერაში მოხსენებული ლიპარიტ თორელის
ერთიდაიგვეობა, მით უფრო, რომ არ ვიცით რა უფლებებით სარგებლობდნენ თო-
რელები ატენში. გარდა ამისა, არც გრიგოლი გვხვდება თორელთა გენეალოგია-
ში. შესაძლოა, ეს სახელი თორელთა სახლში იმ ხანიდან გაჩინდა, როდესაც თო-
რელთა ძირითადმა შტომ დაყარგა თავისი საგამგებლო და ძირითადი მამული-
ჯავახეთი და თორი (XIII ს. II ნახ.) და ქართლში ჯავახიშვილების საფეოდალო
შექმნეს. XIV საუკუნეში თორელი-ჯავახიშვილი კიდევ იხსენიება, XV საუკუნიდან
კი თორელთა ნაცვლად ჯავახიშვილები ჩანან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით,
ჩვენი წარწერის თარიღი, უფრო XIII ს. II ნახევრისა და XIV ს. დასაწყისის ახლო
ხანებით უნდა განვსაზღვროთ (თორელთა შესახებ იხ. „საქ. მუზ. მოამბე“, X—B,
1940, გვ. 23—47; „შოთა რუსთაველი“, ისტ. ფილოლ. მიებანი, 1966, გვ. 7—77).

ატენის სიონის საქტიტორო წარწერის ულტრაიისფერი დასხივებით გადა-
დება და ტექსტის ცალკეული ნაწილების მკაფიოდ გამოვლენა შემდეგი დასკვნის
საშუალებას გვაძლევს:

1. საქტიტორო წარწერა ატენის სიონის მოხატულობის დასავლეთის აუსი-
დის ერთი ნაწილის გაცხოველება-შეკეთებას ეხება, რაც XIII—XIV სს. შეუსრუ-
ლებიათ.

2. აღნიშნული სამუშაოები ვინმე გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძის საქტი-
ტორო მოლევაწერებას მიეწერება.

3. წარწერა ქრონიკის არ შეიცავს, რაც საფუძველს გვაძლევს უარვყოთ
სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თარიღი ატენის სიონის მხატვრობის შე-
სრულებისა — 1080 წელი.